განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული გამოწვევები სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს. ამგვარი გამოწვევების საპასუხოდ, ძალზედ მნიშვნელოვანია არსებობდეს კანონმდებლობა, რომელიც მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების მქონე ქმედებებს სამართალდარღვევად მიიჩნევს და ადგენს შემაკავებელი ეფექტის მქონე სანქციებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, შემუშავდა წინამდებარე პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესებას და პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას.

თავდაპირველად, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებებით განისაზღვრება პასუხისმგებლობა იმ ქმედებათათვის, რომლებიც თავიანთი მომეტებული საშიშროებიდან გამომდინარე, წარმოადგენენ სამართალდარღვევებს.

გარდა აღნიშნულისა, საგულისხმოა ისიც, რომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით (შემდგომ – სამართალდარღვევათა კოდექსი) გათვალისწინებული ზოგიერთი ქმედებისთვის დაწესებული სანქცია ვერ ქმნის შემაკავებელ ეფექტს სამართალდამრღვევთათვის და ვერ ასრულებს ადმინისტრაციული სახდელის პრევენციულ დანიშნულებას. ამდენად, წარმოდგენილი პროექტით, ზემოაღნიშნული ქმედებებისთვის წესდება ისეთი პასუხისმგებლობა, რაც ხელს შეუწყობს სამართალდარღვევის პრევენციული ფუნქციის განხორციელებას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწას და ამ სფეროში არსებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების წინააღმდეგ პრევენციული მექანიზმების გაუმჯობესებას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას აწესებს ტრანსპორტის, საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში არსებულ დარღვევებზე, საგზაო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ამა თუ იმ სამართალდარღვევებისათვის სანქციების გამკაცრებისა და ამ დარგში ცალკეული ქმედებებისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით, აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილება შევიდეს დასახელებულ კოდექსში.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად, ერთი მხრივ, დაწესდება პასუხისმგებლობა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველი ცალკეული ქმედებებისათვის, მეორე მხრივ კი, გამკაცრდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ სამართალდარღვევებისათვის, რომელთათვისაც გათვალისწინებული სანქცია ვერ უზრუნველყოფს პრევენციული ფუნქციის შესრულებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტით მკაცრდება პასუხისმგებლობა და იზრდება არსებული სანქციები შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის:

- ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით (ნაცვლად 40 ლარისა);
- მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით (ნაცვლად 30 ლარისა);
- სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს მართვის მოწმობა (გარდა საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ 2006 წლის 31 მარტის შემდეგ გაცემული მართვის მოწმობისა), სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (გარდა სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობისა, როცა სატრანსპორტო საშუალება მძღოლის საკუთრებაა), ან სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვა – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით (ნაცვლად 10 ლარისა);
- იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც აქვს გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა, საჭის სამართავი მექანიზმი ან მისაბმელი მოწყობილობა, ანდა მწყობრიდანაა გამოსული ფარები, უკანასაგაბარიტო მაშუქები დღე-ღამის ბნელ დროს, ან მინის საწმენდი მექანიზმი წვიმის ან თოვლის დროს, ანდა დარღვეულია ძრავის კვების

სისტემის ჰერმეტულობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით (ნაცვლად 15 ლარისა);

- სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, მაგრამ არაუმეტეს 40 კმ/სთ-ისა – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით (ნაცვლად 50 ლარისა);
- სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ საგზაო ნიშნის ან საგზაო მონიშვნის, ბუქსირების, გარე სანათი ხელსაწყოთი, ხმოვანი სიგნალით ან საავარიო შუქსიგნალიზაციით სარგებლობის, სასწავლო სვლის, საცხოვრებელ ზონაში ან საგზაო მოძრაობის წესების, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პრიორიტეტის ან/და საჭაპანო ტრანსპორტის მართვის წესების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით (ნაცვლად 20 ლარისა);
- გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით (ნაცვლად 50 ლარისა);
- ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ ან „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით, გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით, ხოლო ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში, ქ. ბათუმში, ქ. მცხეთაში, ქ. რუსთავში, ქ. გორში, ქ. თელავში, ქ. ფოთში, ქ. ზუგდიდში ან/და საქართველოს კურორტებზე – 50 ლარის ოდენობით (ნაცვლად არსებული რეგულირებისა, რომლის თანახმადაც ქმედება რეგიონებში სახდელის სახედ და ზომად ითვალისწინებს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით, ხოლო თბილისში – 50 ლარის ოდენობით);
- გზის, რკინიგზის გადასასვლელის ან სხვა საგზაო ნაგებობის მოვლა-შენახვის და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დადგენილი წესების დარღვევა, ანდა ზომების მიუღებლობა გზის ცალკეულ უბნებზე მოძრაობის დროულად ასაკრძალად, შესაზღუდად ან აღსადგენად, როცა ამ გზით სარგებლობა ზღუდავს ან საფრთხეს უქმნის მოძრაობას, ან გზის, რკინიგზის გადასასვლელის ან სხვა საგზაო ნაგებობის ან საგზაო მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალების დაზიანება, გზის საფარის გაჭუჭყიანება, გზის სავალ ნაწილზე, ტროტუარზე ან გვერდულაზე სამშენებლო ან სხვა მასალის დაყრა, გარე ვაჭრობის მოწყობა, ან არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მიცემული წერილობითი მითითების შეუსრულებლობა – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 5 000 ლარის ოდენობით (ნაცვლად არსებული რეგულირებისა, რომელიც ითვალისწინებს იურიდიული პირის ან პასუხისმგებელი ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით);
- სამართალდარღვევათა კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო

საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის ან სხვა ქონების დაზიანება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 7 000 ლარის ოდენობით (ნაცვლად არსებული რეგულირებისა, რომელიც ითვალისწინებს იურიდიული პირის ან პასუხისმგებელი ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით).

გარდა აღნიშნულისა, წარმოდგენილი კანონპროექტით, სამართალდარღვევათა კოდექსს ემატება ნორმები, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება პასუხისმგებლობა შემდეგი ქმედებებისათვის:

- სატრანსპორტო საშუალების ტროტუარზე ან ქვეითთა გადასასვლელზე დგომა-გაჩერება – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით;
- გზის სავალი ნაწილის საპირისპირო მიმართულებით მოძრავ სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისთვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE“) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების გარდა, სხვა სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

აქვე, საგულისხმოა ისიც, რომ სატრანსპორტო საშუალების ტროტუარზე ან ქვეითთა გადასასვლელზე გაჩერების ან დგომის შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი არ იმყოფება სატრანსპორტო საშუალებასთან ან უარს აცხადებს სატრანსპორტო საშუალების ადგილიდან გაყვანაზე, სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ამის შესახებ შესაბამისი მინიშნება.

ამავდროულად, წარმოდგენილი პროექტით ახლებურად განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვის სამართალდარღვევა. კერძოდ, სახდელდადებული იქნება არა ორგანიზებულად და ჯგუფურად გზის გადაკეტვა, არამედ გზის წინასწარი შეცნობით გადაკეტვა ან ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა, როდესაც გზის სავალი ნაწილი სრულად არის დაკავებული, ან სატრანსპორტო საშუალებით ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას. ამასთან აღნიშნული ქმედება სამართალდარღვევად იქნება მიჩნეული არ მხოლოდ ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში მისი ჩადენის შემთხვევაში, არამედ ნებისმიერ გზაზე ჩადენისას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პროექტით გათვალისწინებული ცვლილებებით, 20%-იანი შეღავათი არ გავრცელდება საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისთვის დაკისრებული ფულადი სანქციის გადახდისას.

ამასთან, კანონპროექტი ითვალისწინებს სხვა, ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან, მისი ამოქმედებისათვის დამატებითი პირობები ან ვადები არ არის საჭირო და მნიშვნელოვანია მისი დროული ამოქმედება. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისათვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი)
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებით გამოწვეული აუცილებელი ხარჯების დაფინანსება განხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ასიგნებებიდან და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ან/და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, რაც გამოწვეული იქნება სამართალდარღვევათა კოდექსის ცალკეული მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის გაზრდილი ფულადი სანქციისა და პროექტით განსაზღვრული ახალი სამართალდარღვევებისთვის დაწესებული ფულადი სანქციის სახელმწიფო/მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიმართვით.

წარმოდგენილი ცვლილებით ფულადი სანქციები იზრდება შემდეგი ქმედებებისათვის:

- ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით (ნაცვლად 40 ლარისა);
- მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით (ნაცვლად 30 ლარისა);
- სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს მართვის მოწმობა (გარდა საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ 2006 წლის 31 მარტის შემდეგ გაცემული მართვის მოწმობისა), სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (გარდა სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობისა, როცა სატრანსპორტო საშუალება მძღოლის საკუთრებაა), ან სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვა – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით (ნაცვლად 10 ლარისა);
- იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც აქვს გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა, საჭის სამართავი მექანიზმი ან მისაბმელი მოწყობილობა, ანდა მწყობრიდანაა გამოსული ფარები, უკანასაგაბარიტო მაშუქები დღე-ღამის ბნელ დროს, ან მინის საწმენდი მექანიზმი წვიმის ან თოვლის დროს, ანდა დარღვეულია ძრავის კვების სისტემის ჰერმეტულობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით (ნაცვლად 15 ლარისა);
- სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, მაგრამ არაუმეტეს 40 კმ/სთ-ისა, – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით (ნაცვლად 50 ლარისა);
- სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ საგზაო ნიშნის ან საგზაო მონიშვნის, ბუქსირების, გარე სანათი ხელსაწყოთი, ხმოვანი სიგნალით ან საავარიო შუქსიგნალიზაციით სარგებლობის, სასწავლო სვლის, საცხოვრებელ ზონაში ან საგზაო მოძრაობის წესების, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პრიორიტეტის ან/და საჭაპანო ტრანსპორტის მართვის წესების დარღვევა - გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით (ნაცვლად 20 ლარისა);
- გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით (ნაცვლად 50 ლარისა);
- ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ ან „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით, გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით, ხოლო ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში, ქ. ბათუმში, ქ. მცხეთაში, ქ. რუსთავში, ქ. გორში, ქ. თელავში, ქ. ფოთში, ქ. ზუგდიდში ან/და საქართველოს კურორტებზე – 50 ლარის ოდენობით (ნაცვლად არსებული რეგულირებისა, რომლის თანახმადაც ქმედება რეგიონებში სახდელის სახედ და

ზომად ითვალისწინებს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით, ხოლო თბილისში - 50 ლარის ოდენობით);

- გზის, რკინიგზის გადასასვლელის ან სხვა საგზაო ნაგებობის მოვლა-შენახვის და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დადგენილი წესების დარღვევა, ანდა ზომების მიუღებლობა გზის ცალკეულ უბნებზე მოძრაობის დროულად ასაკრძალად, შესაზღუდად ან აღსადგენად, როცა ამ გზით სარგებლობა ზღუდავს ან საფრთხეს უქმნის მოძრაობას, ან გზის, რკინიგზის გადასასვლელის ან სხვა საგზაო ნაგებობის ან საგზაო მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალების დაზიანება, გზის საფარის გაჭუჭყიანება, გზის სავალ ნაწილზე, ტროტუარზე ან გვერდულაზე სამშენებლო ან სხვა მასალის დაყრა, გარე ვაჭრობის მოწყობა, ან არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მიცემული წერილობითი მითითების შეუსრულებლობა – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 5 000 ლარის ოდენობით (ნაცვლად არსებული რეგულირებისა, რომელიც ითვალისწინებს იურიდიული პირის ან პასუხისმგებელი ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით);
- სამართალდარღვევათა კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის ან სხვა ქონების დაზიანება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას - 7000 ლარის ოდენობით (ნაცვლად არსებული რეგულირებისა, რომელიც ითვალისწინებს იურიდიული პირის ან პასუხისმგებელი ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით).

გარდა აღნიშნულისა, წინამდებარე კანონპროექტით, სამართალდარღვევათა კოდექსს ემატება ახალი ნორმები, რომელთა საფუძველზეც, მათ შორის, განისაზღვრება პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალების ტროტუარზე ან ქვეითთა გადასასვლელზე დგომა-გაჩერებისთვის, აღნიშნული გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით. ამასთან, სახდელდადებული იქნება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისთვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE“) სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა, რაც გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

აქვე, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სატრანსპორტო საშუალების ტროტუარზე ან ქვეითთა გადასასვლელზე გაჩერების ან დგომის შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი არ იმყოფება სატრანსპორტო საშუალებასთან ან უარს აცხადებს სატრანსპორტო საშუალების ადგილიდან გაყვანაზე, სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ამის შესახებ შესაბამისი მინიშნება. გასათვალისწინებელია, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის

სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ მომსახურების სახეების, საფასურებისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილებით საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ დაცულ სადგომზე სატრანსპორტო საშუალების დგომის საფასური განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად: დაცულ სადგომზე შეყვანისა და 1 – 5 დღე-ღამის ჩათვლით დგომის პერიოდში ტრიციკლისთვის, მოპედისთვის, კვადროციკლისთვის და მოტოციკლისთვის - 8 ლარს, მსუბუქი ავტომანქანისთვის - 10 ლარს, ავტობუსისთვის (M2 და M3 კატეგორია), სატვირთო ავტომანქანისთვის და ტრაქტორისთვის - 30 ლარს, ხოლო დაცულ სადგომზე 5 დღე-ღამის შემდეგ დგომის პერიოდში ტრიციკლისთვის, მოპედისთვის, კვადროციკლისთვის და მოტოციკლისთვის - 4 ლარს, მსუბუქი ავტომანქანისთვის - 5 ლარს, ავტობუსისთვის (M2 და M3 კატეგორია), სატვირთო ავტომანქანისთვის და ტრაქტორისთვის - 15 ლარს. ხოლო დასახელებული შემოსავლების ზუსტი ოდენობა დამოკიდებული იქნება სამართალდარღვევის ყოველწლიურ რაოდენობაზე. რამდენადაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვალდებულია შემოსავლის არანაკლებ 10% გადარიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში, მისი შემოსავლების ზრდა პროპორციულად გაზრდის მის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასარიცხი თანხის ოდენობასაც. საგულისხმოა, რომ აღნიშნული შემოსავლების მიღებაც დამოკიდებული იქნება კანონის ამოქმედების შემდეგ იმ სამართალდამრღვევთა რაოდენობაზე, რომელთა სატრანსპორტო საშუალება დაექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას.

საგულისხმოა ისიც, რომ ცვლილებით ახლებურად განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვის სამართალდარღვევა, რის შედეგადაც, სატრანსპორტო საშუალებით ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას, გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით (ნაცვლად 20 ლარისა).

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ცვლილებებით 20%-იანი შეღავათი არ გავრცელდება საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისთვის დაკისრებული ფულადი სანქციის გადახდისას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი ცვლილება გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კერძოდ, ზემოაღნიშნული დარღვევებისთვის დაწესებული ჯარიმის გადახდისას, სამართალდამრღვევის მიერ თანხის ჩარიცხვა განხორციელდება სახელმწიფოს შესაბამისი

დონის ბიუჯეტში/ბიუჯეტებში, ხოლო დასახელებული შემოსავლების ოდენობა დამოკიდებული იქნება სამართალდარღვევის ყოველწლიურ რაოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი კანონპროექტი გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ან/და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რაც გამოწვეული იქნება ახალი სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებით. კერძოდ, წინამდებარე კანონპროექტით, განისაზღვრება პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალების ტროტუარზე ან ქვეითთა გადასასვლელზე დგომა-გაჩერებისთვის, აღნიშნული გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით. ამასთან, სახდელდადებული იქნება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისთვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE“) სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა, რაც გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

საგულისხმოა, რომ შესაბამისი სამართალდარღვევის განხილვისა და ოქმის შედგენის უფლება ექნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა ან/და მუნიციპალიტეტის ორგანოს. ამავდროულად, წარმოდგენილი ახალი სამართალდარღვევების ადმინისტრირება განხორციელდება არსებული ადამიანური რესურსის გამოყენებით. ამასთან, ქმედებისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოწერა, დაკავშირებული იქნება ადმინისტრაციულ ხარჯებთან, ხოლო ხარჯების ოდენობა დამოკიდებული იქნება სამართალდარღვევათა ყოველწლიურ რაოდენობაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, წარმოდგენილი ცვლილებით სატრანსპორტო საშუალების ტროტუარზე ან ქვეითთა გადასასვლელზე გაჩერების ან დგომის შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი არ იმყოფება სატრანსპორტო საშუალებასთან ან უარს აცხადებს სატრანსპორტო საშუალების ადგილიდან გაყვანაზე, სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ამის შესახებ შესაბამისი მინიშნება. შესაბამისად, აღნიშნული გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს. გასათვალისწინებელია, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ მომსახურების სახეების, საფასურებისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილებით საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ დაცულ სადგომზე სატრანსპორტო საშუალების დგომის საფასური განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად: დაცულ სადგომზე შეყვანისა და 1 – 5 დღე-ღამის ჩათვლით დგომის პერიოდში ტრიციკლისთვის, მოპედისთვის, კვადროციკლისთვის და მოტოციკლისთვის - 8

ლარს, მსუბუქი ავტომანქანისთვის - 10 ლარს, ავტობუსისთვის (M2 და M3 კატეგორია), სატვირთო ავტომანქანისთვის და ტრაქტორისთვის - 30 ლარს, ხოლო დაცულ სადგომზე 5 დღე-ღამის შემდეგ დგომის პერიოდში ტრიციკლისთვის, მოპედისთვის, კვადროციკლისთვის და მოტოციკლისთვის - 4 ლარს, მსუბუქი ავტომანქანისთვის - 5 ლარს, ავტობუსისთვის (M2 და M3 კატეგორია), სატვირთო ავტომანქანისთვის და ტრაქტორისთვის - 15 ლარს. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ხარჯებს საბოლოოდ სამართალდამრღვევი აანაზღაურებს.

ზემოხსენებული ხარჯები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის და მუნიციპალიტეტის ორგანოსთვის გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში დაიფარება.

ამავდროულად, წარმოდგენილი ცვლილებით, სამართალდარღვევათა კოდექსის 174[1] მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის უცხოელის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხოელის საქართველოდან გაძევება და უცხოელის საქართველოში შემოსვლის აკრძალვა 3 წლამდე ვადით.

აღსანიშნავია, რომ სახდელის სახით დაკისრებული უცხოელის საქართველოდან გაძევების ან/და უცხოელის საქართველოში შემოსვლის აკრძალვის შესახებ დადგენილების აღსრულებისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოები გამოიყენებენ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ წესებს. ამ კანონის შესაბამისად, უცხოელის გაძევებისთვის აუცილებელ ხარჯებს, მათ შორის, გამგზავრების ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო. აღნიშნული ხარჯების ოდენობა დამოკიდებული იქნება იმ უცხოელთა რაოდენობაზე, რომლებსაც სამართალდარღვევათა ჩადენის შემთხვევაში სახდელი სახით დაეკისრებათ საქართველოდან გაძევება. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეულ ქვეყანაში გამგზავრების ხარჯი სხვადასხვაა, დასახელებული ხარჯი განისაზღვრება გამგზავრების მარშრუტის შესაბამისად. აღნიშნული ხარჯების დაფინანსება მოხდება სამინისტროს ასიგნებებიდან.

გასათვალისწინებელია, რომ უცხოელის საქართველოდან გაძევების და უცხოელის საქართველოში შემოსვლის აკრძალვის საქმის განხილვისა და მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს არსებული ადამიანური რესურსის გამოყენებით და დამატებით თანამშრომელთა გამოყოფა არ არის აუცილებელი, ხოლო ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება განხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ასიგნებებიდან.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს, აგრეთვე სახელმწიფოს ან/და მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღებ პირდაპირ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც გავრცელდება წარმოდგენილი კანონის პროექტი. კერძოდ, წარმოდგენილი ცვლილებით ფულადი სანქცია იზრდება ცალკეული ქმედებებისთვის (იხ. განმარტებითი ბარათის „ბ.ბ“ ქვეპუნქტი).

ამასთან, წინამდებარე კანონპროექტით, სამართალდარღვევათა კოდექსს ემატება ახალი ნორმები, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება პასუხისმგებლობა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველი ცალკეული ქმედებებისთვის. კერძოდ, სახდელდადებული იქნება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისთვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE“) სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა, რაც გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

ამავდროულად, ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგინდება სატრანსპორტო საშუალების ტროტუარზე ან ქვეითთა გადასასვლელზე დგომა-გაჩერებისთვის, აღნიშნული გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით. საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენისას, თუ სამართალდამრღვევი არ იმყოფება სატრანსპორტო საშუალებასთან ან უარს აცხადებს სატრანსპორტო საშუალების ადგილიდან გაყვანაზე, სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ამის შესახებ შესაბამისი მინიშნება. გასათვალისწინებელია, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ მომსახურების სახეების, საფასურებისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილებით საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ დაცულ სადგომზე სატრანსპორტო საშუალების დგომის საფასური განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად: დაცულ სადგომზე შეყვანისა და 1 – 5 დღე-ღამის ჩათვლით დგომის პერიოდში ტრიციკლისთვის, მოპედისთვის, კვადროციკლისთვის და მოტოციკლისთვის - 8 ლარს, მსუბუქი ავტომანქანისთვის - 10 ლარს, ავტობუსისთვის (M2 და M3 კატეგორია), სატვირთო ავტომანქანისთვის და ტრაქტორისთვის - 30 ლარს, ხოლო დაცულ სადგომზე 5 დღე-ღამის

შემდეგ დგომის პერიოდში ტრიციკლისთვის, მოპედისთვის, კვადროციკლისთვის და მოტოციკლისთვის - 4 ლარს, მსუბუქი ავტომანქანისთვის - 5 ლარს, ავტობუსისთვის (M2 და M3 კატეგორია), სატვირთო ავტომანქანისთვის და ტრაქტორისთვის - 15 ლარს. აღნიშნული ხარჯების გადახდის ვალდებულება კი, სამართალდამრღვევს დაეკისრება.

გარდა აღნიშნულისა, წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ცვლილებებით 20%-იანი შეღავათი არ გავრცელდება საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისთვის დაკისრებული ფულადი სანქციის გადახდისას.

შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებები გავლენას მოახდენს იმ ფიზიკური და იურიდიული პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომლებიც, ამ კანონის ამოქმედების შემდეგ დაჯარიმდებიან პროექტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის ან/და რომელთა ავტოსატრანსპორტო საშუალებებიც დაექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას. ამავდროულად,

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

წარმოდგენილი კანონპროექტი, ერთი მხრივ, განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ახალი სამართალდარღვევებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, ითვალისწინებს ფულადი სანქციის გაზრდას ცალკეული სამართალდარღვევებისთვის. წარმოდგენილი ცვლილებით ჯარიმა განისაზღვრება შემდეგი სახით:

- ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით (ნაცვლად 40 ლარისა);
- მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით (ნაცვლად 30 ლარისა);
- სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს მართვის მოწმობა (გარდა საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ 2006 წლის 31 მარტის შემდეგ გაცემული მართვის მოწმობისა), სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (გარდა სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობისა, როცა სატრანსპორტო საშუალება მძღოლის საკუთრებაა), ან სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვა – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით (ნაცვლად 10 ლარისა);

- იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც აქვს გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა, საჭის სამართავი მექანიზმი ან მისაბმელი მოწყობილობა, ანდა მწყობრიდანაა გამოსული ფარები, უკანასაგაბარიტო მაშუქები დღე-ღამის ბნელ დროს, ან მინის საწმენდი მექანიზმი წვიმის ან თოვლის დროს, ანდა დარღვეულია ძრავის კვების სისტემის ჰერმეტულობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით (ნაცვლად 15 ლარისა);
- სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, მაგრამ არაუმეტეს 40 კმ/სთ-ისა, – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით (ნაცვლად 50 ლარისა);
- სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ საგზაო ნიშნის ან საგზაო მონიშვნის, ბუქსირების, გარე სანათი ხელსაწყოთი, ხმოვანი სიგნალით ან საავარიო შუქსიგნალიზაციით სარგებლობის, სასწავლო სვლის, საცხოვრებელ ზონაში ან საგზაო მოძრაობის წესების, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პრიორიტეტის ან/და საჭაპანო ტრანსპორტის მართვის წესების დარღვევა - გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით (ნაცვლად 20 ლარისა);
- გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით (ნაცვლად 50 ლარისა);
- გზის, რკინიგზის გადასასვლელის ან სხვა საგზაო ნაგებობის მოვლა-შენახვის და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დადგენილი წესების დარღვევა, ანდა ზომების მიუღებლობა გზის ცალკეულ უბნებზე მოძრაობის დროულად ასაკრძალად, შესაზღუდად ან აღსადგენად, როცა ამ გზით სარგებლობა ზღუდავს ან საფრთხეს უქმნის მოძრაობას, ან გზის, რკინიგზის გადასასვლელის ან სხვა საგზაო ნაგებობის ან საგზაო მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალების დაზიანება, გზის საფარის გაჭუჭყიანება, გზის სავალ ნაწილზე, ტროტუარზე ან გვერდულაზე სამშენებლო ან სხვა მასალის დაყრა, გარე ვაჭრობის მოწყობა, ან არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მიცემული წერილობითი მითითების შეუსრულებლობა – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 5 000 ლარის ოდენობით (ნაცვლად არსებული რეგულირებისა, რომელიც ითვალისწინებს იურიდიული პირის ან პასუხისმგებელი ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით);
- სამართალდარღვევათა კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის ან სხვა ქონების დაზიანება – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას - 7000 ლარის ოდენობით (ნაცვლად არსებული რეგულირებისა, რომელიც ითვალისწინებს იურიდიული პირის ან პასუხისმგებელი ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით).

გარდა აღნიშნულისა, წინამდებარე კანონპროექტით, სამართალდარღვევათა კოდექსს ემატება ნორმები, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება პასუხისმგებლობა შემდეგი ქმედებებისათვის:

- სატრანსპორტო საშუალების ტროტუარზე ან ქვეითთა გადასასვლელზე დგომა-გაჩერება - გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით;
- სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისთვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE“) სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა - გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროექტით ახლებურად განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვის სამართალდარღვევა, რის შედეგადაც, სატრანსპორტო საშუალებით ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას, გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით (ნაცვლად 20 ლარისა).

საგულისხმოა, რომ ზემოხსენებული სამართალდარღვევებისათვის ფულადი სანქციის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული იყო ცალკეული ქმედების ხასიათი და მისგან მომდინარე საფრთხე, ამასთან, წარმოდგენილი ჯარიმის ოდენობები დადგინდა საგზაო უსაფრთხოებასთან ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმების ანალიზის საფუძველზე, რადგან დაწესებული სანქცია ვერ ქმნის შემაკავებელ ეფექტს სამართალდამრღვევთათვის და ვერ ასრულებს ადმინისტრაციული სახდელის პრევენციულ დანიშნულებას. ახალი ოდენობები თანაზომადია ანალოგიური სახის სხვა სამართალდარღვევებისთვის გათვალისწინებულ ფულად სანქციებთან.

ამავდროულად, ცალკე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ცვლილებით ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ ან „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობისთვის, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობისთვის 50 ლარამდე იზრდება სახდელის სახედ განსაზღვრული ჯარიმის ზომა ქ. ქუთაისში, ქ. ბათუმში, ქ. მცხეთაში, ქ. რუსთავში, ქ. გორში, ქ. თელავში, ქ. ფოთში, ქ. ზუგდიდში ან/და საქართველოს კურორტებზე (ნაცვლად არსებული რეგულირებისა, რომლის თანახმადაც ქმედება რეგიონებში სახდელის სახედ და ზომად ითვალისწინებს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით, ხოლო თბილისში - 50 ლარის ოდენობით).

ხსენებული სამართალდარღვევისათვის სანქციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იქნა მიღებული ზემოჩამოთვლილ ქალაქებში დგომა-გაჩერებასთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემები და ჭარბი სატრანსპორტო ნაკადის ეფექტიანი მართვის

აუცილებლობა. შედეგად, პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, სამართალდარღვევის წინააღმდეგ პრევენციული ფუნქციის გასაუმჯობესებლად, ზემოჩამოთვლილ ქალაქებში, პროპორციულობის პრინციპის დაცვითა და ანალოგიური სახის სხვა სამართალდარღვევებისთვის დადგენილი ფულადი სანქციების მხედველობაში მიღებით, გაიზარდა ჯარიმის ზომა დგომა-გაჩერების წესების დარღვევისათვის.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს

შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.